



# კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო  
21 ივნისი 2021

## ეკონომიკა

**საგარეო ვაჭრობა:** საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის მაისში ექსპორტი წლიურად 44.9%-ით გაიზარდა და 339.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 70.0%-იანი წლიური ზრდის შემდეგ (ამასთან, 2019 წლის დონესთან შედარებით ექსპორტი მცირედით 0.4%-ით შემცირდა მაისში). იმპორტი 40.3%-ით გაიზარდა 742.3 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვის 58.0%-იანი ზრდის შემდეგ (ამასთან, 2019 წლის დონესთან შედარებით 6.5%-ით ნაკლები იყო მაისში). შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 36.5%-ით გაიზარდა მაისში და 402.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჯამურად 2021 წლის პირველ 5 თვეში, სავაჭრო ბალანსი წლიურად 9.6%-ით გაუარესდა და 1.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 24.4%-ით გაიზარდა 1.5 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 15.7%-ით გაიზარდა 3.5 მლრდ აშშ დოლარამდე.

**ფულადი გზავნილები:** 2021 წლის მაისში ფულადი გზავნილები წლიურად 42.4%-ით გაიზარდა და 187.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 145.4%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, ფულადი გზავნილები ასევე გაზრდილია 2019 წლის მაისთან შედარებით 28.8%-ით. ფულადი გზავნილები წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: იტალია (+15.7%), რუსეთი (+60.6%), აშშ (+58.8%), საბერძნეთი (+9.6%) და ისრაელი (+29.8%). ჯამურად, 2021 წლის პირველ 5 თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 46.9%-ით გაიზარდა და 881.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ეკონომიკური ზრდა.** საქართველოს ეკონომიკა 4.5%-ით შემცირდა 2021 წლის პირველ კვარტალში, რაც 0.3პპ-ით გაუარესებულია საქსტატის წინასწარ მაჩვენებელზე. პირველ კვარტალში, კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა (-54.0% წ/წ), გართობა და დასვენება (-25.4% წ/წ), მშენებლობა (-19.4% წ/წ), და ტრანსპორტი (-9.0% წ/წ). ამასთან, ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: სამთომომპოვებითი მრეწველობა (+50.3% წ/წ), ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (+24.0% წ/წ), ინფორმაცია და კომუნიკაცია (+16.8% წ/წ) და ჯანდაცვა (+13.3%).


**საქართველოს რეინიგზის ევროზღივაცია.** 2021 წლის 17 ივნისს საქართველოს რეინიგზამ წარმატებით განათავსა 500 მილიონი აშშ დოლარის 7-წლიანი ევროზღივაცია, რომლის კუპონის განაკვეთმა 4.00% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ევროზღივაციის მიმართ ინვესტორების ინტერესი უპრეცედენტოდ მაღალი იყო და მოთხოვნამ 4.2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც 8.4-ჯერ აღემატება შეთავაზებულ მოცულობას. სავაჭრო დღის შემდეგ ევროზღივაციის შემოსავლიანობამ 4.0% შეადგინა, რაც საქართველოს მთავრობის ობლიგაციასთან შედარებით დაახლ. 100სპ-ის სპრედს (სხვაობას) წარმოადგენს. საქართველოს რეინიგზის ევროზღივაციის გამოშვების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო საინვესტიციო ბანკები: JP Morgan, Citi და Renaissance Capital; პროცესში ასევე ჩართული იყო 2 ადგილობრივი საინვესტიციო ბანკი - Galt & Taggart და TBC Capital.

## ეკონომიკური ინდიკატორები

|                                        | 2018   | 2019   | 2020   |
|----------------------------------------|--------|--------|--------|
| მშპ (%-ლი ცვლილება)                    | 4.8%   | 5.0%   | -6.2%  |
| მშპ ერთ სულზე (ppp)                    | 14,584 | 15,613 | 14,918 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$)                 | 4,722  | 4,696  | 4,275  |
| მოსახლეობა (მლნ)                       | 3.7    | 3.7    | 3.7    |
| ინფლაცია, პერიოდის ბოლო                | 1.5%   | 7.0%   | 2.4%   |
| მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)        | 3.3    | 3.5    | 3.9    |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %) | 6.8%   | 5.5%   | 12.3%  |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)           | 2.3%   | 2.1%   | 9.3%   |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)              | 38.9%  | 40.4%  | 60.0%  |

წყარო: ოფიციალური მონაცემები

## მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

## საერთაშორისო რეიტინგები, 2019-21

- ბიზნესის კეთების სიმარტევი №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

## საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

|                                                                                         |                                                                                          |                                                                                |
|-----------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|
| <b>STANDARD &amp; POOR'S</b><br><br><b>BB</b><br>უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021 | <b>Moody's INVESTORS SERVICE</b><br><br><b>Ba2</b><br>სტაბილური დადასტურებული მაისი-2021 | <b>FitchRatings</b><br><br><b>BB</b><br>უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021 |
|-----------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



## ფულადი ბაზარი

გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 22 ივნისს, სადაც 5-წლიანი 35 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


### სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

| ვალიანობა  | გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი | დარჩენილი ვალდებულება* |
|------------|--------------------------------------|------------------------------|------------------------|
| 6-თვე      | 60                                   | 105                          | 85                     |
| 1-წელი     | 60                                   | 105                          | 505                    |
| 2-წელი     | 80                                   | 140                          | 1,290                  |
| 5-წელი     | 184                                  | 236                          | 2,338                  |
| 10-წელი    | 44                                   | 56                           | 1,281                  |
| <b>სულ</b> | <b>428</b>                           | <b>642</b>                   | <b>5,499</b>           |

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: \* 2021 წლის 30 აპრილის მდგომარეობით

### სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

### მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სეზ

### განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სეზ

### ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ


შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხილო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას



## ობლიგაციები

**კორპორატიული ევრობლიგაციები:** საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.70%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.68 (+0.23% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.56 (+0.05% წინა კვირასთან შედარებით), 5.49%-იანი შემოსავლიანობით.

**საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG)** დაიხურა ფასით 102.08 (-0.30% წინა კვირასთან შედარებით), 2.29%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: Bloomberg

## ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

| ევრობლიგაციები    |        |                      |         |                 |                                    |              |                     |               |  |
|-------------------|--------|----------------------|---------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|---------------|--|
| გამომშვები        | ვალუტა | მოცულობა, მლნ აშშ \$ | კუპონი  | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |  |
| GEORG 04/26       | USD    | 500                  | 2.750%  | Apr-26          | BB-/BB/Ba2                         | 102.08       | 2.29                | 139.72        |  |
| GRAIL 06/28       | USD    | 500                  | 4.000%  | Jun-28          | BB-/B+/-                           | 100.99       | 3.84                | 268.08        |  |
| GEBGG 07/23       | USD    | 350                  | 6.000%  | Jul-23          | BB-/B/Ba2                          | 106.68       | 2.70                | 235.87        |  |
| GEBGG 11 1/8 PERP | USD    | 100                  | 11.125% | n/a             | B-/B-                              | 110.13       | 9.08                | 679.30        |  |
| GEOCAP 03/24      | USD    | 300                  | 6.125%  | Mar-24          | -/B/B2                             | 101.56       | 5.49                | 501.90        |  |
| SILKNET 04/24     | USD    | 200                  | 11.000% | Apr-24          | B-/B1                              | 109.74       | 7.07                | 489.62        |  |
| TBC 06/24         | USD    | 300                  | 5.750%  | Jun-24          | BB-/B/Ba2                          | 108.13       | 2.89                | 235.31        |  |
| TBC PERP          | USD    | 125                  | 10.775% | n/a             | B-/B-                              | 110.04       | 9.23                | 668.92        |  |
| GGU 07/25         | USD    | 250                  | 7.750%  | Jul-25          | B+/B/-                             | 106.61       | 5.91                | 479.91        |  |

## ადგილობრივი ობლიგაციები

|                       |     |    |        |        |          |        |       |     |  |
|-----------------------|-----|----|--------|--------|----------|--------|-------|-----|--|
| KTW 12/22             | USD | 10 | 9.00%  | Dec-22 | -/-/-    | n/a    | n/a   | n/a |  |
| GWP 12/21             | GEL | 30 | 12.50% | Dec-21 | BB-/B+/- | n/a    | n/a   | n/a |  |
| M2CA 12/21            | USD | 30 | 7.50%  | Dec-21 | -/-/-    | 100.00 | 7.50  | n/a |  |
| M2RE 10/22            | USD | 35 | 7.50%  | Oct-22 | -/-/-    | 100.43 | 7.20  | n/a |  |
| GLC 08/21             | USD | 10 | 7.50%  | Aug-21 | -/-/-    | 100.00 | 7.50  | n/a |  |
| GLC 08/22             | USD | 10 | 7.50%  | Aug-22 | -/-/-    | n/a    | n/a   | n/a |  |
| Nikora Trade 08/21    | GEL | 25 | 9.00%  | Aug-21 | -/-/B+   | n/a    | n/a   | n/a |  |
| SILKNET 04/24         | GEL | 34 | 12.50% | Apr-24 | B+/B1/-  | n/a    | n/a   | n/a |  |
| Geo. Beer Company     | GEL | 25 | 13.00% | Dec-23 | -/-/BB-  | n/a    | n/a   | n/a |  |
| Lisi Lake Development | USD | 12 | 8.00%  | Dec-21 | -/-/B+   | n/a    | n/a   | n/a |  |
| Tegeta 04/22          | GEL | 30 | 10.75% | Apr-22 | -/-/BB-  | n/a    | n/a   | n/a |  |
| Swiss Capital 09/21   | GEL | 10 | 14.25% | Sep-21 | B-/B+/-  | 100.00 | 14.25 | n/a |  |
| EVEX 11/24            | GEL | 50 | 12.10% | Nov-24 | -/-/BB   | n/a    | n/a   | n/a |  |

წყარო: Bloomberg



## აქციები

**საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN)** აქციები დაიხურა 13.16 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.13% წინა კვირასთან შედარებით და +17.50% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 319 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 13.04 - 13.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 45 ათასი აქცია შეადგინა.


**Georgia Capital-ის (CGEO LN)** აქციები დაიხურა 6.35 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.75% წინა კვირასთან შედარებით და +1.28% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 219 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.15 - 6.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 44 ათასი აქცია შეადგინა.

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)** აქციები დაიხურა 11.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.64% წინა კვირასთან შედარებით და +2.01% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 150 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.82 - 11.18 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 38 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)





## აქციები

### აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

|                    | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ | ნ თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E          |              | P/B          |              |
|--------------------|--------|--------|-------------|----------------|-------------|----------|----------------|--------------|--------------|--------------|--------------|
|                    |        |        |             |                |             |          |                | 2021F        | 2022F        | 2021F        | 2022F        |
| Bank of Georgia    | BGEO   | GBP    | 13.16       | 647            | 12.1%       | 19.6%    | 7.9%           | 5.07x        | 4.28x        | 1.03x        | 0.89x        |
| TBC                | TBC    | GBP    | 11.18       | 617            | -6.8%       | 23.8%    | -10.6%         | 4.60x        | 4.01x        | 0.78x        | 0.69x        |
| Sberbank           | SBER   | USD    | 17.00       | 91,718         | 13.9%       | 45.3%    | 17.0%          | 6.68x        | 6.27x        | 1.16x        | 1.05x        |
| Halyk Bank         | HSBK   | USD    | 15.50       | 4,555          | 37.2%       | 27.6%    | 33.0%          | 4.71x        | 4.85x        | 1.14x        | 1.08x        |
| VTB Bank           | VTBR   | USD    | 1.30        | 8,437          | 31.6%       | 31.7%    | 36.4%          | 3.38x        | 3.14x        | 0.41x        | 0.38x        |
| Akbank             | AKBNK  | TRY    | 5.26        | 27,352         | -19.0%      | -9.6%    | -24.1%         | 3.59x        | 2.54x        | 0.39x        | 0.34x        |
| Garanti            | GARAN  | TRY    | 8.16        | 34,272         | -17.3%      | 0.4%     | -21.3%         | 3.88x        | 2.70x        | 0.48x        | 0.41x        |
| Isbank             | ISCTR  | TRY    | 5.10        | 22,950         | -24.9%      | -0.8%    | -27.1%         | 2.71x        | 2.02x        | 0.29x        | 0.26x        |
| PKO                | PKO    | PLN    | 40.50       | 50,625         | 43.7%       | 75.4%    | 41.0%          | 10.87x       | 11.33x       | 1.17x        | 1.10x        |
| PEKAO              | PEO    | PLN    | 99.36       | 26,079         | 66.3%       | 79.9%    | 62.6%          | 14.38x       | 11.62x       | 0.99x        | 0.95x        |
| Millennium         | MIL    | PLN    | 4.85        | 5,883          | 50.7%       | 44.9%    | 48.3%          | 9.83x        | 6.79x        | 0.71x        | 0.70x        |
| Mbank              | MBK    | PLN    | 310.00      | 13,134         | 72.5%       | 26.6%    | 73.0%          | 10.40x       | 10.36x       | 0.79x        | 0.75x        |
| BRD                | BRD    | RON    | 16.60       | 11,569         | 15.3%       | 38.3%    | 11.7%          | 11.12x       | 10.56x       | 1.12x        | 1.25x        |
| Banca Transilvania | TLV    | RON    | 2.79        | 16,008         | 21.8%       | 41.1%    | 24.0%          | 10.01x       | 9.40x        | 1.51x        | 1.42x        |
| OTP                | OTPD   | USD    | 22.00       | 12,320         | -3.5%       | -3.5%    | -3.5%          | 8.96x        | 8.22x        | 0.62x        | 0.57x        |
| Komercni           | KOMB   | CZK    | 770.00      | 146,338        | 19.6%       | 32.3%    | 17.2%          | 15.19x       | 12.60x       | 1.22x        | 1.21x        |
| <b>საშუალო</b>     |        |        |             |                |             |          |                | <b>7.84x</b> | <b>6.92x</b> | <b>0.86x</b> | <b>0.82x</b> |
| <b>მედიანა</b>     |        |        |             |                |             |          |                | <b>7.82x</b> | <b>6.53x</b> | <b>0.89x</b> | <b>0.82x</b> |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

|                       | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ | ნ თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E          |              | P/B          |              |
|-----------------------|--------|--------|-------------|----------------|-------------|----------|----------------|--------------|--------------|--------------|--------------|
|                       |        |        |             |                |             |          |                | 2021F        | 2022F        | 2021F        | 2022F        |
| Georgia Capital       | CGEO   | GBP    | 6.35        | 304            | 26.5%       | 31.7%    | 17.6%          | na           | na           | na           | na           |
| Tinc Comm             | TINC   | EUR    | 12.60       | 458            | -2.3%       | -3.4%    | -2.7%          | na           | na           | na           | na           |
| Sabancı Holding       | SAHOL  | TRY    | 9.07        | 18,506         | -14.4%      | -0.3%    | -20.9%         | 3.34x        | 2.74x        | 0.41x        | 0.34x        |
| Deutsche Beteiligungs | DBAN   | EUR    | 34.90       | 525            | 10.7%       | 22.0%    | 12.0%          | 6.91x        | 7.15x        | 1.10x        | 1.00x        |
| Eurazeo               | RF     | EUR    | 73.00       | 5,768          | 28.3%       | 52.3%    | 31.5%          | 10.89x       | 9.72x        | 0.92x        | 0.85x        |
| Carlyle Group         | CG     | USD    | 44.34       | 15,722         | 43.7%       | 43.3%    | 41.0%          | 17.80x       | 14.30x       | 4.93x        | 4.15x        |
| <b>საშუალო</b>        |        |        |             |                |             |          |                | <b>9.74x</b> | <b>8.48x</b> | <b>1.84x</b> | <b>1.58x</b> |
| <b>მედიანა</b>        |        |        |             |                |             |          |                | <b>8.90x</b> | <b>8.44x</b> | <b>1.01x</b> | <b>0.92x</b> |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოდობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

### გალტი ენდ თაგარტი

**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

**ტელ:** + (995) 32 2401 111

**ელ. ფოსტა:** gt@gt.ge